# ბრძანება №01-00/02

2010 წლის 1 სექტემბერი

ქ. თბილისი

## 2010 წლის შემოდგომის სემესტრის დაგეგმვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის, 10.1 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" და "ბ" ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის", საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წესდების მე-6 და მე-9 მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2010 წლის შემოდგომის სემესტრი განისაზღვროს 19 კვირით (15 კვირა – სააუდიტორიო მუშაობისათვის);
2. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვროს 1 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე;
3. 2010 წლის გაზაფხულის სემესტრის დამატებითი გამოცდები ჩატარდეს 20 - 26 სექტემბერს;
4. სააუდიტორიო მეცადინეობები დაიწყოს 4 ოქტომბრიდან და გაგრძელდეს 2011 წლის 23 იანვრამდე;
5. საშობაო არდადეგების პერიოდი განისაზღვროს 2010 წლის 31 დეკემბრიდან 2011 წლის 10 იანვრამდე;
6. შუალედური გამოცდებისათვის (ყველა სასწავლო დისციპლინაში) დადგინდეს შემდეგი ვადები:
   ა/ პირველი შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-6 კვირაში (08 – 14 ნოემბერი);
   საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა დაიგეგმოს მომდევნო, მე-7 კვირაში (15 – 21 ნოემბერი);

ბ/ მეორე შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-12 კვირაში (20 – 26 დეკემბერი);

საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა – მომდევნო, მე-13 კვირაში (27 – 31 დეკემბერი);

7. დასკვნითი საგამოცდო სესია ჩატარდეს მე-16 – მე-18 კვირეებში (2011 წლის 24 იანვარი – 13 თებერვალი);
8. 2010 წლის შემოდგომის სემესტრის დამატებითი გამოცდები ჩატარდეს მე-19 კვირაში (24 თებერვალი – 3 მარტი);
9. საგაზაფხულო არდადეგების პერიოდი განისაზღვროს 4-დან 14 მარტამდე;
10. ყოველი გამოცდის დასრულებისთანავე გაფორმებული საგამოცდო უწყისები ჩაბარდეს დეკანატსა და სასწავლო-მეთოდურ სამსახურს;
11. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო-მეთოდურ სამსახურს (ქ-ნი თ. კაკუშაძე);
12. ძალადაკარგულად გამოცხადდეს რექტორის 2010 წლის 8 ივნისის №01-00/01 ბრძანება „2010 წლის შემოდგომის სემესტრის დაგეგმვის შესახებ";
13. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: ფაკულტეტების დეკანებისა და სასწავლო-მეთოდური სამსახურის შუამდგომლობა.

რექტორი
პროფესორი თ. გვანცელაძე